



ს ს ი პ ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ბ ი უ რ ო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

შემოსული

№ 6968 0304.19



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARALI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001794219

22/03/2019 6



5001794219

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ
საერთო სასამართლოების დეპარტამენტის
თავმჯდომარეს ბატონ შოთა ქარჩავას

ბატონო შოთა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N03-3787 მომართვის (ბიუროს 2018 წლის 18 ივლისის რეგისტრაციის N1006323218) საფუძველზე, გიგზავნით სასამართლო ექსპერტიზის N001953619 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 53 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია 01 ფურცლი

პატივისცემით,

გიორგი თვარი
ბიუროს უფროსი



5001794219

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი 25.03.2019

ბ. ყიფიანი
(ხელმოწერა) ბ.ა





001953619

ექსპერტის დასკვნა № 001953619

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქვესტრუქტურა: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

თანამდებობა: თავმჯდომარე

მისამართი:

სახელი და გვარი: შოთა ქარჩავა

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომდეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.


ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, მოამზადოთ ქ.ქუთაისში, ნიუ-პორტის ქ.#32-ში მდებარე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს #01/2 ცალკე მდგომი შენობის გამაგრების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

შემოსვლის თარიღი: 18.07.2018წ.

გასვლის თარიღი: 22.03.2019წ

დასკვნა

<p>ქ.ქუთაისში, ნიუ-პორტის ქ.#32-ში მდებარე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს #01/2 ცალკე მდგომი შენობის გამაგრებითი სამუშაოები უნდა შესრულდეს თანდართული პროექტის მიხედვით.</p>	<p>ალექსანდრე კაიფანჯიანი</p> 
---	---

გამოკვლევა

ჩვენს მიერ დეტალურად შესწავლილი იქნა ქ.ქუთაისში, ნიუ-პორტის ქ.#32-ში მდებარე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს #01/2 ცალკე მდგომი შენობა გამაგრების პროექტის დამუშავების მიზნით. არსებული დაზიანებული შენობა 2-სართულიანია, უსარდაფო (ფოტო 1-2). სამირკველი ლენტური ტიპისაა. მზიდი კედლები აშენებულია ბეტონის ბლოკებისა და აგურის წყობით. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. შენობაში არსებული



001953619

დაზიანებები და ბზარები გამოწვეულია საძირკვლის არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით. პროექტის დამუშავების მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რისთვისაც საკვლევი შენობის სამ ადგილზე შურფებით გამიშვლებული იქნა საძირკველი და გაყვანილი იქნა ერთი ჭაბურღილი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე (იხილე დანართი 2-ი) მიღებული იქნა შენობის გამაგრების კონსტრუქციული გადაწყვეტები, რაც ძირითადად გულისხმობს არსებული საძირკვლის გამაგრებას, დაზიანებულ მზიდ კედლებზე რკინაბეტონის ჯაგშნის მოწყობას და ფანჯრების და კარების ღიობების მოჩარჩოებას ლითონის კონსტრუქციებით. პროექტში ასევე დამუშავებულია მეორე სართულზე ასასვლელი ახალი გარე კიბის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს თანდართული პროექტის მიხედვით (იხილე დანართი 1).

ამრიგად, ქ.ქუთაისში, ნიუ-პორტის ქ.#32-ში მდებარე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს #01/2 ცალკე მდგომი შენობის გამაგრებითი სამუშაოები უნდა შესრულდეს თანდართული პროექტის მიხედვით.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოყენებული მასალები

- პნ 01.01-09 - „სეისმომედეგი მშენებლობა“
- СНиП 2.03.01-84* - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“
- СНиП II-23-81 - „ლითონის კონსტრუქციები“
- СНиП II-7-81 - „სეისმურ რაიონებში მშენებლობა“

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი


ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია



001953619

ექსპერტის დასკვნა № 001953619

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2